№ 91 სამშაბათი, 27 აპრილი 1910 წ. № 91

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეჯერ ხალკილს 4 საათამდე ღირს 3 მ, ათი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დახაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 6-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ იძლევა [illegible] მოთხრობები, პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საშუადღევის 3 საათამდე [illegible]

რედაქციის ადრესი: ტფილისი [illegible] ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი-ყველგან ერთი შაური.

დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

მღ. გრიგოლ და ნიკოლოზ გრიგოლის ძე მაჭავარიანები, ნინო გრიგოლის ასული იაშვილისა, და სონა გიორგი ამირეჯიბის ასული მაჭავარიანისა ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას მეუღლის, მეორე და მესამე—დაუვიწყარ დედის, ხოლო უკანასკნელი—უსაყვარლეს დედამთილის

ქეთელა ამაშუკელის ასულის მაჭავარიანისას.

დაკრძალვა იქნება ოთხშაბათს, ოცდა რვა ამა აპრილს, დილის ათ საათზე, ს. არგვეთში წმ. გიორგის ეკლესიაზე, საჩხერის ახლო. (1—უ.—1)

უზომო მწუხარებასა შინა მყოფი მატრონა შენგელაიასა ლოლუას ასული შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა 27 ამა აპრილს გარდაცვალების მეორმოცე დღეს, გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი ს. ობუჯის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში (ზუგდიდის მაზრა) დაუვიწყარის მისის მეუღლის აზნ.

სოლომონ რაღიკის ძის შენგელაიას

სულის მოსახსენებლად. (1—ფ.—1)

## ქართული თეატრი

შაბათს, 8 მაისს, 1910 წ. გრიგოლ რობაქიძე გამართავს

## ლიტერატურულ საღამოს,

სადაც ყოველი მონაწილე თავის ნაწარმოებს წაიკითხავს.

**ბელეტრისტულ ესკიზებს წაიკითხავენ:** ადამაშვილი, არაგვისპირელი, გრ. დიასამიძე, ილ. ელეფთერიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ლევ. მეტრეველი და სვ. ყიფიანი.

**ლექსებს წაიკითხავენ:** ახოსპირელი, გრიშაშვილი, მაყაშვილი და შანშიაშვილი.

**კრიტიკულ ეტიუდებს წაიკითხავენ:** კიტა აბაშიძე (წაიკითხავს ამ თემაზე: „ვეფხის ტყაოსანი როგორც სიმბოლო“), ივ. გომართელი (წაიკითხავს ამ თემაზე: „ვახტანგ ორბელიანის პოეზია“) და გრ. რობაქიძე (წაიკითხავს ნაწყვეტს ლექციიდან: „რუსთაველის შემოქმედება“).

**დაწვრილებით პროგრამებში.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ბილეთები ეხლავ იყიდება თეატრის კასსაში. (6—1)

**კვირას, მაისის 2-სა მუშტაიდის ბაღში**

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება**

## დიდი სეირნობა და ლატარია-ალეგრი

**განყოფილება პირველი:**

შუადღის 11 საათიდან 3 საათამდის

## საბავშვო დღესასწაული

მუსიკა. თამაშობა. გაჯიბრება საჩუქრებით

საღამოს 5 საათიდან 11 საათამდის

**განყოფილება მეორე:**

1. გიმნასტიური ვარჯიშობა „სოკოლის“ (შევარდენის) საზოგადოების წევრებისა.
2. კონცერტი ქართულ ხოროსი ბ-ნ ა. კავსაძის ხელმძღვანელობით.

**განყოფილება მესამე:**

ლატარია-ალეგრი (ცალკე პავილიონში). ლატარიაში ჩაგდებული იქნება 800 ნივთი. ცხენი, ძროხა, ვერცხლისა და სხვა ძვირფასი ნივთები. ფასი ლატარიის ბილეთისა 20 კ. პავილიონში შესვლა 1 მან.

**განყოფილება მეოთხე:**

**ჟინჟლილა შუშხუნები**

ბაღში შესვლა ღირს ბავშვებისთვის 15 კ. დიდებისთვის 25 კ. ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

**ბუფეტი; ჩაი, ყვავილები, სერპანტინი.** (8—5)

## საბურთალოზე

სასტუმრო „დარიალის“ მახლობლად დაიჭრა ოცი დესეტინა მამული ნაჭრებად და იყიდება. იქვე იძლევა ორი მშვენიერი შენობა სასტუმროებით—„რაზსვეტი“ და „ბირიუზა“ თავის ბაღით და ფართო ეზოებით, მოსალაპარაკებლად შეგიძლიანთ მიმართოთ: ოლგის ქუჩა, სახლი № 6, გაბაშვილისა. (3—262—2)

**დაიბეჭდა და მალე დაურიგდება ხელის მომწერთ**

BATON-ის წიგნი:

## „ერი და კაცობრიობა, განხილულნი სოციოლოგიურის მხრივ“

ვისაც წიგნზე ხელი არ მოუწერია, შეუძლიან იყიდოს „დროების“ კანტორაში, წ.-კ. საზოგადოების ან სხვა წიგნის მაღაზიაში.

წიგნი ღირს **ექვს აბაზად.** (3—3)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. ვ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა,

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—327)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., [illegible] ხას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ ს.** თვალის, ორშ., [illegible] პარასკ. 2 2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე

**პაპოვი ვ. ა.** ქურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—162)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

**ლიმონი**—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—$11^1/_2$ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—39)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) ხატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კგ.—27)

**ექიმი** ბაბ. **ი. გოკიელოვი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულიოთ წამლობა ჰელქიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (75—კგ.—56)

**ბებია** ქალი სოფიო ილიას ასული გელბორდტ-ლოკიში

რომელიც მუშაობდა მიუნხენის სამეფო დედათა პოლიკლინიკუმში დაბრუნდა ტფილისში და ხელახლა შეუდგა ავადმყოფთა მიღებას. დიდი ვანქის ქ., N 4, სახლი მალაევისა, სამხედრო ექიმების სამკურნალოს პირდაპირ. (12—205—10)

**ექიმი ზ. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—79)

**ექიმი** ბავშვებისა ქუთაისში **ბადრიძე**

1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—4

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოფრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—420)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ა. ა. ბუტულოვისა**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კგ.—29

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—49

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—110

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს აღ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—169)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## შპალერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

## ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—11)

**ახალი დასურათებული საყმაწვილო წიგნი**

## „ცხოველების გამჭრიახობა“

შედგენილი ან. წერეთელის მიერ. ფასი 25 კ.

და მარკ ტვენის თხზულება მრავალი — სურათით —

## „ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი“

ფასი 60 კ.

იყიდება. „ჯეჯილი“-ს რედაქციაში და წიგნის მაღაზიებში.

ვინც ათზე მეტს იყიდის, დაეკლება 20%. (6—1)

## ■ პიესები ■

იყიდება წერა-კითხვის გამავრც. საზ. მაღაზიაში

„მამა და შვილი“.

„კოცნა პირველი და უკანასკნელი“.

„მეფე ფერხთა“.

„ცოდვა“.

„ჩვენებური ადუკანტი“.

„წყურვილი“. (3—3)

## ჟურნალი „მოგზაური“

სამი წლისა, ივ. როსტომაშვილის გამოცემა, იყიდება ერთ მანეთად.

ამ სამი წლის ნომრებში დასტამბულია სურათები კირიონ ეპისკოპოსის, ლეონიდის, ტფილისის გეგმა, დახატული 1700 წ., მეორე გეგმა ვახუშტისა, დახატული 1735 წ., მრავალი სურათი საქართველოს ძველის ნაშთებისა: სიონის, ცხეთის ტაძრის, კუმურდოსი და სხვა. აქვე მოთავსებულია დ. ნახუცრიშვილის დრამა „იანიჩარი“ და სხვა ძველი სურათებიც.

ადრესი: „დროების“ რედაქცია. (3—1)

## ქ. გორის ქალაქის თვით-მართველობა

(უპრავა)

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ გორის საქალაქო აფთიაქიდან, რომელიც მოთავსებულია სამეფო ქუჩაზე, ქიტიაშვილის სახლში, უფასოდ ეძლევათ წამლები ულარიბეს მოქალაქეთ, და აგრეთვე გორისა და მის მაზრის მცხოვრებთ ეთმობათ წამლები ღირებულობაზე ნაკლებ ფასად, რათა ამით ხელმისაწდომი გახდეს წამლობა ყველასათვის, რომელთათვის ზრუნვაც ევალება ყველა ქალაქის თვითმმართველობას.

ქ. გორის მოურავის მაგიერი **ლოლაძე.** (2—263—2)

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

25—26 აპრილი.

### ინგლისის მეფის გარდაცვალება.

**ლონდონი.** 23 აპრილს საღამოს 11 საათსა და 45 წუთზე, გარდაიცვალა მეფე ედუარდ მეშვიდე.

**ლონდონი.** მთელი ინგლისი სწუხს მეფის გარდაცვალებას. ყველგან ბაირაღები ჩამოშვებულია, ისმის ზარის გამუდმებული რეკა. წარმოდგენები, სხვა და სხვა გასართობები და კრებები გადაიდო. ახალ მეფის დასანიშნავად ნაშუადღევს შეიკრიბება საიდუმლო საბჭო. მეფე ედუარდის გარდაცვალების გამო პარლამენტის საჩქარო სესსია უნდა დაიწყოს. პარლამენტის თავჯდომარე ამ ჟამად სტამბოლშია, პრემიერ-მინისტრი ასკვიტი სევილიეში. ასკვიტი სევილიიდან ლონდონში მოდის. გაზეთები ბევრსა სწერენ მეფე ედუარდზე, მთელი ინგლისის ხალხის მწუხარებას გამოსთქვამენ. გაზეთების სიტყვით, მეფე ედუარდმა ინგლისი ძლიერ და ბედნიერ სახელმწიფოდ დასტოვა.

**ლონდონი.** მეფის გარდაცვალების გამო დეპუტატთა პალატამ ფორმალური სხდომა გამართა. სხდომა გადაიდო ჩერჩილის წინადადებით. ლორდთა პალატაში ლორდმა-კანცლერმა და სხვა პირებმა ფიცი მიიღეს. ნაშუალამევის $3^1/_2$ საათზედ საიდუმლო საბჭოს წევრები სენტ-ჯეშის სასახლეში შეიკრიბნენ. ნახევარ საათის შემდეგ სასახლეში მობრძანდა მეფე. მეფეს ადმირალის ტანისამოსი ეცვა და თან დარაჯები არა ჰხლებია. მეფემ ხელი მოაწერა დანიშვნის ქაღალდს და შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა. მეფემ მოაგონა დამსწრეებს თავის მამის სიტყვები, რომ მთელ ჩემ სიცოცხლეს ჩემი ხალხის კეთილდღეობას შევსწირავო. ღვთის დახმარებით ახალი მეფე არ დაზოგავს არაფერს, რომ თავის ხალხს სიკეთე მოუტანოს. დასასრულ მეფემ განაცხადა, ყოველთვის ვეცდები, რომ კონსტიტუცია დავიცვაო.

**ლონდონი.** ახალი მეფე მიიღებს გიორგი მეხუთის სახელს.

**ლონდონი.** მეფის გარდაცვალების გამო სასახლეში დააწესეს ერთი წლით გლოვა.

### აჯანყება ალბანეთში

**სალონიკი.** 21 აპრილს ფერიზოვიჩიდან და კაჩანიკის გასავლიდან გაგზავნილი ჯარი სოფლებს ებერცის და ბუდაკოვის ახლო გაჩნდა. ჯარი ალბანელებს უკანიდან უვლის. ალბანელებმა თავი მოიყარეს ჩერნოლევის გასავალთან. ჩერნოლევის გასავალთან შეკრებილია მთავრობის ჯარის 20 ბატალიონი სამთო ზარბაზნებით და ტყვიის მტყორცნელებით. დღეს ელიან შეტაკებას. შევკეთ-ტურგუტ-ფაშამ მცხოვრებლებს აცნობა, სასტიკად დავსჯი აგიტატორებს და სოფლებს სულ ერთიანად მივანგრ-მოვანგრევ თუ თხუთმეტი დღის განმავლობაში იარაღს არ დავჰყრითო. კორესპონდენტებს აეკრძალათ იარონ ისეთ ადგილებში, სადაც აჯანყებაა. მზეს ჩასვლის შემდეგ აღკრძალულია უფარნოთ სიარული.

ჩამოვიდა ოთხი ახალი ბატალიონი. 25 აპრილისთვის ანდრიანოპოლიდან ელიან ორ ბატალიონს.

**სალონიკი.** ჩერნოლევოში ჩამოვიდა ის ჯარი, რომელსაც დავალებული აქვს ჩერნოლევის გასავლიდან ალბანელების განდევნა. იქავე მოვიდა უსკიუბის ვალი მაზჰარ-ბეი. ზემო მორავიიდან ცნობები არ არის. ჯერ ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა, რომ ალბანელებს დიაკოვო დაეჭიროთ.

**სალონიკი.** ხმა დადის, რომ ალბანელებმა ხელში ჩაიგდეს იპეკიო. ალბანელები პრიზრენისკენ ილაშქრებენ. ალბანელები სოფელ დიურში სდგანან. დიურიდან პრიზრენამდე საათ ნახევრის სასიარულოა. ლაბას ველსა და ვუჩიტრის მიდამოებში ალბანელების ამბოხებას აპირებენ. ემზადებიან პრიშტინზე დასაცემად. დიაკოვოში ალბანელებმა საქვეყნოდ დაამტვრიეს ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის განყოფილების ბეჭედი და დაიფიცეს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან თავიანთი უფლებები. ზემო მორავაში ჯარმა ალბანელების სამი სოფელი დაანგრია.

### ტარნოვსკაიას საქმე.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას დამცველმა დიენმა განაცხადა: კომაროვსკის დაზღვევა და ანდერძის ქაღალდის დაწერა იურიდიულ ტეხნიკის მცოდნე პირის საქმეა, ე. ი. პრილუკოვისა. ტარნოვსკაია დაინტერესებული არ იყო კომაროვსკის მოკვლაში. ტარნოვსკაია სუსტი ხასიათის ქალია, ადვილად ვარდებოდა სხვის გავლენის ქვეშ. და ყველაფერი პრილუკოვის ბრალიაო. დასასრულ დიენმა ნაფიც-მსაჯულებს სთხოვა, რომ რბილად მოეკიდნენ ტარნოვსკაიას.

### აჯაყნება ტიბეტში

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს პეკინიდან დეპეშით ატყობინებენ: ხმა დადის, რომ ლხასში მოულოდნელად ამბოხებამ იჩინა თავიო. სულ ერთიანად ამოუჟლიტეს ჩინეთის გარნიზონის 1000 ჯარისკაციო.

### კრიტის საქმე

**ბერლინი.** „ბერლინერ-ლოკალ-ანცეიგერს“ კანეიდან ატყობინებენ: საბერძნეთის მეფის სახელწოდების დღეს მცხოვრებლებმა დიდი დემონსტრაცია მოახდინეს და თხოულობდნენ. კრიტე საბერძნეთს უნდა შეუერთდესო.

**ბერლინი.** „ფოსიშე ცაიტუნგს“ ათინიდან დეპეშით ატყობინებენ: საბერძნეთის მთავრობამ კრიტეს მფარველ-სახელმწიფოების ელჩებს შეატყობინა, საბერძნეთი არ ერევა კრიტეს საკითხში, რომლის გადაწყვეტა სულ ერთიანად დამოკიდებულია მფარველ-სახელმწიფოებისაგან. ელჩებმა მხედველობაში

მიიღეს ეს განცხადება და დაამშვიდეს საბერძნეთის მთავრობა.

### სპარსეთი

**თეირანი**. დაამთავრეს სამხედრო სამინისტროს რეფორმა. შემოიღეს ქვეითა და ცხენოსან ჯარების ინსპექტორების თანამდებობანი. ჯარის რიცხვი 40000 კაცს უნდა უდრიდეს. აქედან 10,000 ჯარის-კაცი ადერბეიჯანში იდგება.

### საზღვარ-გარედ.

**ვენა**. სებენიკოში თათბირი ჰქონდათ დალმაციის კათოლიკ ეპისკოპოსებს. ეპისკოპოსებმა ითათბირეს დალმაციაში სლავიანურ ენაზე ღვთისმსახურების შესახებ და იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ ღვთისმსახურება სლავიანურ ენაზედ პაპის და ხორვატის მიერ არის უზრუნველყოფილიო. კრებამ პროტესტი განაცხადა, ვენის მთავრობა ტყუილა უბრალოდ ერევა ამ საქმეშიო.

**პარიზი**. პარიზსა და პროვინციებში დამთავრდა ხელმეორე კენჭის ყრა. კენჭის ყრა მშვიდობიანად დამთავრდა.

**ტოკიო**. 25 აპრილს ოფიციალურად უარჰყოფენ გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმას, ვითომ რუსეთსა და იაპონიას პოლიტიკურ ხელშეკრულება დაედოთ.

**ვენა**. ჩეხელმა რადიკალებმა მიატოვეს საპარლამენტო კავშირი, კავშირი ენერგიულად არ იქცევა პარლამენტის წეს-რიგის წესდების შეცვლის საკითხშიო.

„კორესპონდენტ-ბიურო"-ს ჩერნოვიციდან დეპეშით ატყობინებენ: ბუკოვანის საერობო მართველობამ დახურა რუს მართმადიდებელთა სახალხო სახლი, რუს ქალთა საზოგადოების ბავშის თავშესაფარი და კარნატის სტუდენტთა საზოგადოება, ზემოდ ჩამოთვლილ საზოგადოებებს რუსეთის სასარგებლო პროპაგანდას აბრალებენ.

### მიწის-ძვრა

**სანხოზე** (კასტორიკას რესპუბლიკა). გამოირკვა, რომ მიწის-ძვრის დროს კატორგაში დაიღუპა 1000 კაცი, დაშავდა თითქმის ამდენივე. ქალაქში მხოლოდ ხის ორი სახლი დარჩა დაუნგრეველი.

### ჰაერში-ფრენა.

**პეტერბურგი**. ბლერიოს მონოპლანით ორჯერ გაფრინდა ავიატორი ლორანი. ლორანმა პირველად სამი წუთი იფრინა და გაფრინდა სამ ვერსს, მეორედ იფრინა სულ ოთხი წუთი.

**კიევი**. სამჯერ გაფრინდა ავიატორი უტოჩკინი. უტოჩკინმა 11 წუთს იფრინა და გაფრინდა 12 ვერსს. ფრენას დაესწრო 100,000 კაცი.

### ფინლიანდია

**ჰელსინგფორსი**. სეიმმა მოიწონა და მიიღო ძირითად კანონების კომისიის აზრი უმაღლეს წინადადების შესახებ. კომისიის აზრით, უმაღლესი წინადადება საერთო კანონმდებლობის შესახებ ძირიანად სცვლის ფინლიანდიის ძირითად კანონებს. სეიმის პასუხიც ამავე შინაარსისა იქნება. ამას გარდა, სეიმი თავის პასუხში სწერს, რომ უარს ვერ ვიტყვით ჩვენ უფლებაზე და ამიტომ ჩვენ აზრს ვერ გამოვსთქვამთ საერთო კანონმდებლობის შესახებ კანონ-პროექტზედო. სეიმის სხდომა დაიწყო დილის 11 საათზე და გათავდა საღამოს 9 საათზე.

**ლონდონი**. ბირმანგამის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს გრეის წერილი მისწერა და შეატყობინა, ვაჭართა საზოგადოებას ძალიან ეშინიან, რომ ფინლიანდიის ეკონომიური მდგომარეობა არ შეიცვალოსო. თუ ჩვენი შიში გამართლდა, მაშინ, ფინლიანდიასთან სავაჭრო საქმეები შეგვიმცირდება. დასასრულ სავაჭრო პალატის თავმჯდომარე სთხოვს გრეის მიიღოს ზომები, რომ დაცულ იქმნებ ინგლისის სავაჭრო ინტერესები.

**ჰელსინგფორსი**. სეიმის გუშინდელი სხდომა დაიწყო დილის 11 საათზე. საერთო საიმპერიო კანონმდებლობის შესახებ პირველად ილაპარაკა მიხელინმა. მან სთქვა: იმედი მაქვს, სეიმი უთუოდ მოიწონებს და მიიღებს ძირითად კანონების კომისიის აზრს, რომ სეიმს არ შეუძლიან უმაღლესს წინადადებით თავის დასკვნა დაადგინოს კანონ-პროექტის შესახებ. შემდეგ მიხელინმა კრიტიკა გაუკეთა კანონ-პროექტს. მიხელინმა გაიხსენა უმაღლესი მსოფლო კანონი, რომელიც, მისი აზრით, ფინლიანდელებს ავალებს დაიცვან 1809 წელს დიდის ამბით აღიარებულ თავისი უფლებები და დაუმატა, რომ მართალია ძირითად კანონების კომისიამ კრიტიკა გაუკეთა კანონ-პროექტის განსამარტებელ ცნობებს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, ვითომ კომისიას თავისი აზრი გამოეტანოს ამ კანონ-პროექტის შესახებო. მიხელინმა დასარულ სთქვა: იმედი მაქვს, ფინლიანდიაში არც ერთი პარტია არ არის, რომელსაც არ უნდოდეს, რომ ფინლიანდელების ლტოლვილებას რუსეთი ხელს არ უშლიდეს ფინლიანდიას უფლებების შელახვით. შემდეგ ილაპარაკა იონას კასტრენმა. მან სთქვა: მთელი განათლებული კაცობრიობა აღიარებს ფინლიანდიის სახელმწიფოებრიობას. ძირითად კანონების კომისიის აზრმა ამავე უნდა დაარწმუნოს მთელი რუსეთი. სახელმწიფო სათათბირო თავის ხელით მოიკლავს თავს, თუ იგი ფინლიანდიის სულთამხუთავი იარაღად გადაიქცევა, რადგან მთავრობა საზოგადოდ ცუდის თვალით უყურებს ყოველ სახალხო წარმომადგენლობას და არ დააყოვნებს და სახელმწიფო სათათბიროსაც დაითხოვს. რა თქმა უნდა, ფინლიანდიელები თავის დღეში არ დაემორჩილებიან იმ კანონებს, რომლებიც განზრახულ გზით გამოიცემიან. მართალია ბრძოლის გზა ეკლიანია, მაგრამ, ამასთანავე მას. მიჰყავს გამარჯვებისაკენ, როგორც ეს დაამტკიცა ჰუნგრეთის ოცი წლის ბრძოლამაო. დასასრულ კასტრენმა აღნიშნა, რომ განათლებული კაცობრიობა სიმპატიით უყურებს ფინლიანდიის მორალურ ძალასაო. მლადოფინმა პროკლიომ იმედი გამოსთქვა, რომ ფინლიანდია ბოლომდის იბრძოლებს და შეინარჩუნებს იმ ადგილს, რომელიც მას ერთა შუა უკავიაო. სოციალისტმა ტაკოიმ სთქვა: რუსეთის მთავრობის წინადადება, რომ ჩვენი აზრი გამოვთქვათ კანონ-პროექტზე, ფინლიანდიის პოლიტიკურ თვითმკვლელობის მოთხოვნაა და აღნიშნა, რომ პროლეტარიატი ყოველთვის იბრძოდა გარუსების წინაამდეგო. სტაროფინმა ინგმანმა გაჰკიცხა კანონ-პროექტის შემდგენელნი, დოქტრინიორობა გამოიჩინეს და უარჰყო რუსეთის ძირითად კანონების ძალა. შვედომან, პროფესსორ ხომენის აზრით ფინლიანდიელებმა რუსეთის მთავრობას პასიური წინაამდეგობა უნდა გაუწიონ თუ საჭირო იქნება შვილიშვილო ბამდისაც-კი. პროფესორმა, მლადოფინმა სტელიამ მუხლ მუხლად განიხილა კანონ-პროექტში შეტანილი საკითხები და სთქვა, რომ არც ერთ საკითხს საერო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა არა აქვსო.

**ჰელსინგფორსი**. ფინლიანდიის სავაჭრო საზოგადოებათა ცენტრალურმა ბიურომ პროტესტი განაცხადა, რუსეთის მთავრობა უკანონოდ იქცევა, როდესაც ლოცმანის უწყების რეორგანიზაცია უნდა და იმედი გამოსთქვა, რომ რუსეთის მთავრობის განზრახვა არ განხორციელდება მანამდის, სანამ სეიმში ამის შესახებ კამათი არ დასრულდებაო. სტაროფინმა ვირკუნენმა აღნიშნა, რომ რუსეთის მთავრობის წინადადება ფინლიანდიის კულტურულ და ეროვნულ მკვლელობას მოასწავებსო, დაასახელა შვეციის რამდენიმე მეფე, რომელნიც ფინლიანდიის უფლებებს იცავდნენ. ვირკუნენმა სთქვა, რომ ესევე იქცეოდნენ რუსეთის მეფეები ალექსანდრე პირველი და მეორეო. სტაროფინმა კაირამამ სასურველად სცნო რუსეთის ხალხთან დაახლოვება და განაცხადა, საჭირო არ არის საერთო კანონ-მდებლობაო. სტაროფინმა პასტორმა მალმიკარამ აღნიშნა, რომ უბედურობის მოლოდინმა ფინლიანდელები შეაერთა საერთო მოქმედებისთვის, შეერთებულ ფინლიანდელებს შეუძლიანთ იმედი იქონიონ, რომ სახელმწიფო სათათბიროში ღვთის შეწევნით მათ მილიუკოვი დაიცავსო. სტაროფანმა ლაგერლევმა სთქვა: გასულ საუკუნეში ფინლიანდია კანონიერ ნიადაგს არ გასცილებია. ფინლიანდიას რომ 1812 წელს აჯანყება მოეხდინა, მაშინ მთელი ევროპის ქარტა შეიცვლებოდაო. დასასრულ, ლაგერლევმა იმედი გამოსთქვა, რომ საქმე ფინლიანდიის სასარგებლოდ დამთავრდება. შვედომანმა ნიუსერგმა განაცხადა: მართალი არ არის კანონ-პროექტის შემდგენელების ცნობები, ვითომ წინად საერო კანონები რუსეთში გამოცემულიყოს. პირიქით ხშირად ისეთი კანონები, რომლებიც აშკარად იმპერიის ინტერესებს ეხებოდნენ, ფინლიანდიის სეიმის დახმარებით გამოცემულან. დანიელსონ-კალმარის აზრით, ფინლიანდიას კონსტიტუცია აქვს და რუსეთის კანონ-პროექტი დაღუპავს ფინლიანდიას. სეიმს მარტო ერთად ერთი პასუხის გაცემა შეუძლიან: „შეუწყნარებელია". 9 საათზედ შეუდგნენ კენჭის ყრას. სეიმმა (137 ხმით წინააღმდეგ 40 ხმისა) მიიღო კომისიის გადაწყვეტილება. ორმოცი დეპუტატი მომხრე იყო სოციალისტ ვუოლიკოს წინადადებისა, რომელიც ეთანხმებოდა კომისიის აზრს, მხოლოდ თხოულობდა, რომ კომისიის წინადადებიდან გამოეკლოთ ის ადგილი, სადაც გამოთქმულია აზრი კანონ-პროექტის შესახებ და ნათქვამია, რომ ფინლიანდია მზად არის ყოველთვის მხედველობაში იქონიოს იმპერიის მოთხოვნილებაო. სამშაბათს, საღამოს 6 საათზე სეიმი ხელმეორედ განიხილავს თავის დადგენილებას.

### რუსეთი

**პეტერბურგი**. მწერალთა კრებამ ლებედევის და კრანიხ-ფელდის მოხსენებების მოსმენის შემდეგ გამოიტანა რეზოლიუცია. კრება თავის რეზოლიუციაში ატყობინებს რედაქციებს და ავტორებს პრესს-ბიუროს განვითარებას და ურჩევს სიფრთხილით მოეკიდნენ პრესს-ბიუროებს და ყოველთვის აღნიშნონ მიღებულ ცნობის წყარო. შემდეგ კრება წინადადებას აძლევს სალიტერატურო ფონდის საზოგადოებას, გამოიკვლიოს თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან მწერლები, სასურველად სცნობს პროფესიონალურ ორგანოს დაარსებას და სხვა.

**მოსკოვი**. დამცველმა პოლიციამ დააპატიმრა 30 კაცი. ბრალდებათ მთავრობის საწინააღმდეგო პარტიების წევრობა. დაპატიმრებულებს უპოვეს არალეგალური ლიტერატურა.

**რადომი**. კონსკის ახლოს მეტაკება მოუვიდათ დარაჯებს და ყაჩაღებს. დარაჯებმა მოჰკლეს ცნობილი ყაჩაღი ცელი, რომელმაც ამ დღეებში ორი დარაჯი დასჭრა.

**კრონშტანტი**. ამ დღეებში ნავთსადგურიდან დაითხოვეს 4000 მუშას. მუშებმა პეტიცია გაუგზავნეს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს. მუშები თავმჯდომარეს დახმარებას სთხოვენ.

**ეკატერინოსლავი**. სადგურ სლავგოროდის ახლოს, ღამის 2 საათზედ მატარებელში მოჰკლეს კონდუქტორი ჩეფრაკოვი.

**კიევი**. სან-რემოდან იუწყებიან: ოსპედალეტეში გარდაიცვალა უკრაინელთა მწერალი გრინჩენკო. განსვენებულს კიევში დაკრძალავენ.

**პეტერბურგი**. რეზცოვის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდა ტოლსტოის სახელობის სალიტერატურო მუზეუმის საზოგადოებას. კრებაზედ მიწვეულნი იყვნენ მწერალთა კრების წევრებიც. კრებამ დაადგინა გამოსცეს ტოლსტოის კრებული და ჯერ-ჯერობით დაარსოს ტოლსტოის სახელობის დროებითი სახლი და მუზეუმი, რისთვისაც გადაიდო 4000 მანეთი.

**სმოლენსკი**. დააპატიმრეს სამხედრო საკრებულოს საქმის მწარმოებელი დლოტოვსკი. ამ დღეებში დაიწვა სამხედრო საკრებულოს კანცელარია. კანცელარიის დაწვას დლოტოვსკის აბრალებენ.

**ვილნო**. გუბერნატორმა შეაჩერა ქალთა სწორ-უფლებიანობის საზოგადოების მოქმედება. საზოგადოებამ გამოსცა სახელმძღვანელო, თუ როგორ უნდა ესაუბრონ საზოგადოების წევრები სოფლელ ქალებს. გუბერნატორმა საგუბერნიო მართველობაში აღძრა საკითხი, რომ საზოგადოება დაიხუროს.

**პეტერბურგი**. პროსტიტუციის წინააღმდეგ მებრძოლმა კრებამ მიიღო რამდენიმე რეზოლიუცია, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ აუცილებლად საჭიროა სახელმწიფო სათათბიროში, რაც შეიძლება, ჩქარა შეიტანონ პროექტები პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლისა, რადგან პროსტიტუცია უქადის მთელ ერს ფიზიკურად და სულიერად გადაშენებას. კრებამ საჭიროდ სცნო, რომ ქალთა მფარველ საზოგადოებამ გამოსცეს ისეთი ჟურნალი, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ ზნეობის გაფაქიზებას, რადგან უამისოდ შეუძლებელია ქალთა დაცვა. შემდეგ საჭიროდ და სასურველად სცნო თავშესაფრების აშენება იმ ქა ებისთვის,

## ქუთათური ფელეტონი

შავ-ორშაბათის არჩევნები.—ნაპოლეონ პირველის მხედართა და ქუთ. ქართ. გიმნაზიის ექსკურსანტთა აღტაცება.— საჭირო ჭეშმარიტებათა უარყოფა და მათი აუცილებლობა წარსულის შესწავლისათვის.—გარეშეთა ვერაგობა და შინაურთა უზრუნველობა ჩვენი წარსულის შესახებ.—ჩვენი ახალი რწმენის საიმედო ნიშნები.

დღევანდელ ფელეტონში მკითხველი ქუთათურს ვერას წაიკითხავს: მოგეხსენებათ, რომ შავი ორშაბათის სათ.-აზნაურო არჩევნები მთავრობას „შავად" უქცევია და რაღაზე უნდა ვილაპარაკო! ეს ასედაც უნდა მომხდარიყო: ვის გაუგონია სამაისო ყალბი კენჭების ჩხარა-ჩხურის სმენა **თევდორობის***) კვირაში, როცა, შურის კენჭების ჩხაკუნის მაგივრად, საცეცხლურის ეჟვანთა საღვთო წკრიალით უნდა იტკბობდნენ სმენას ქრისტეს მოყვარე თავად-აზნაურთა წინამძღოლნი საზოგადოების სამაგალითო წასაბაძავად.

მაშ, ჯერ საშინაო საქმეებზე ვისაუბროთ, ძვირფასო მკითხველო!

როცა ნაპოლეონ პირველი მურად ბეის მისდევდა ნილოსის ხეობაში და როცა იგი **თივაის****) ნანგრევებს მიუახლოვდა, იმის ქანცგაწყვეტილ მხედრებს შიმშილ-წყურვილი და დაღლილობა დაავიწყდათ და ნანგრევების დანახვისთანავე ტაშის ცემა ასტეხეს და ვაშას ძახილით არე-მარე დააყრუეს. რას უკრავდნენ ტაშს, ვის შესძახოდნენ ვაშას? ბუმბერაზ შენობათა და ნანგრევთა დიადმა შთაბეჭდილებამ არა ჩვეულებრივი აღტაცება გამოიწვია ისეთ ადამიანებში, რომელთაც თოფ-იარაღის ხმარების მეტი არა გაეგებათ რა და, მაშასადამე, წარსულის და ძველთა ძველის შეგნების ინტერესი სრულიად არ ეპრიანებოდათ.

სწორედ ეს სურათი წარმომიდგა, როცა ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მოწაფენი 9 აპრილს საქართველოს ძველ დედა ქალაქს —მცხეთას ეწვივნენ და იმის დიდებულ ტაძრის გალავანში წილებივით დაჰფუსფუსებდნენ. ნორჩ ექსკურსანტებს პირის-სახეზე თითქმის ისეთივე აღტაცება და ისეთივე გაკვირვება ეტყობოდათ, როგორიც ნაპოლეონის მხედრებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამათ, შესაძლებელია, ამ დიდად მნიშვნელოვან, ჩვენი საერო განძის შესახებ ცოტა რამ გაგონილი ჰქონდათ. ესენიც ტაშს უკრავდნენ მე-5-6 საუკუნეთა დიდებულ ნაშთს, ესენიც ვაშას შესძახოდნენ მის აშენებელ ვახტანგ გორგასლანს და ყველა იმათ, ვისაც ამ წმინდა სავანეში ზნეობითი და გონებითი წვლილი შეუტანია.

ყმაწვილთა ასეთმა აღტაცებამ მეტად გამახარა და გამახარა აი რატომ: იმ წამს თვალ-წინ ცხადად წარმომიდგა ის ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენში ყოველთვის დავიწყებული იყო და, მგონი, დიდ-ხანს, თუ მთლად დავიწყებული არა, მაინც უკანასკნელ ხარისხზე იქნება დაყენებული. ეს ის ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანი ინსტიქტიურად ჰგრძნობს თავის ისტორიულ განვითარების განუწყვეტლობას, შეუფერხებელ პროგრესს, რომელსაც კაცობრიობა მუდამ განიცდის. თუ მეცნიერულად არ გვინდა შევიგნოთ, ინსტიქტიურად მაინც ვგრძნობთ, რომ აწმყო ცხოვრება, ახლანდელი ცივილიზაცია თავის გამოგონებით და სიმდიდრით მხოლოდ ერთი გარდამავალი წუთია მხედველობისა აურაცხელ საუკუნეთა განმავლობაში, ადამიანის განვითარებისა და დაუსრულებელის პროგრესისა.

მოაზროვნე ადამიანი იძულებულია ინსტიქტიურად დაიჯეროს, რომ ჩვენამდი გაუვლია მრავალ ათასს წელს, რის განმავლობაშიაც კაცობრიობა თან და თანობით ვითარდებოდა, რომელსაც განუცდია თან და თანობითი საფეხური განვითარებისა და სხვა და სხვა ხანა ცივილიზაციისა; იძულებულია დაიჯეროს, რომ მომავალში წინ გვიძევს მრავალი საუკუნე, როცა კაცობრიობა უფრო მეტად განვითარდება და ახლანდელი ჩვენი დრო არის მხოლოდ ერთი თვალის დახამხამება ამ ორ უსაზღვრო ჟამს შორის; იძულებულია შეიგნოს, რომ აწმყო მკვიდრი შვილია წარსულისა და ნამდვილი მშობელი მომავლისა... შეიძლება წინ მსვლელობა კაცობრიობისა აქა-იქ შეფერხდეს, სწორ გზას გადაუხვიოს თვით ან სხვამ გადაახვევიოს, მაგრამ ეს პროგრესის სიდიადეს და სისტემას არა სცვლის.

აბა სცადოს ადამიანმა და წარმოიდგინოს, რომ არ არსებობს არც წარსული, არც მომავალი და მაშინ აშკარად დაინახავს, რომ ჩვენი ხანა თავის სანუკვით, თავის დიდებით და პროგრესით მნიშვნელობას, აზრსა და ინტერესს სრულიად ჰკარგავს: უწარსულოდ და უმერმისოდ აწმყოს არავითარი საგანი და აზრი არა აქვს. მაშინ არარად შეიქნება და არარაის მორევში გაჰქრება ყოველი ვაი-ვაგლახი ჩვენი დროისა, ყოველი მოღვაწეობა და ნაბიჯი ჩვენი გონებისა და ამ გონებისაგან შექმნილი იდეალები და დაწესებულებანი. ინსტიქტიურად მოსდის ადამიანს გულსა და გონებაში, რომ არსებობს ჯაჭვი, რომელიც ერთის მხრით აწმყოს წარსულზე აკავშირებს, მეორეს მხრით მომავალზე; არსებობს ფსიხოლოგიური აუცილებლობა, რათა იცხოვროს ადამიანმა არა მარტო აწმყოთი, არამედ წარსულით და მომავლით და დაინტერესებული იქმნას მომავლით.

ამ ფსიხოლოგიურს აუცილებლობაზეა დამყარებული ერთის მხრით იდეალების შექმნა, მეორეს მხრით მეცნიერული შესწავლა წარსულის სიძველეთა: რამდენადაც უფრო შორეულ მომავლისაკენ იცქირება კაცობრიობა იდეალების შესაქმნელად, იმდენად უფრო სიღრმისკენ იხიდავს მას წარსულთა და ძველთა გამოკვლევის სურვილით. ის, რომელიც მხოლოდ ინტერესებით სცხოვრობს, გუშინდელის მეტს ვერას შეიგნებს. ადრინდელ კაცობრიობას რომ საქვეყნო პროგრესის სათავე ნორმალურად არა ჰქონდა შეგნებული, კიდევაც ამიტომ წარსულის შესწავლის საქმეში ვერ გასცილდა ცხოვრების ბუნდოვან გადმოცემას. მეოცე საუკუნის ადამიანი კი, რომელმაც ხელთ იგდო იდეა საქვეყნო პროგრესისა, იდეა დაუსრულებლობისა განვითარებისა და რომელმაც დაისახა შორეულმომავლის იდეალები, ეს ადამიანი დიდის ინტერესით იჭვრიტება და სცდილობს, შეაღოს თითქო მიუწდომელი კარი და გაანათოს წარსულის წყვდიადი.

ახლანდელი მეცნიერება იერპირის იანუსივით წინაც იხედება და უკანაც, და, რამდენადაც შორს იხედება მომავლისკენ, იმდენად წარსულის სიღრმეში აფათურებს კვლევა-ძიების ხელებს. იგი დიდის ენერგიით და ბეჯითობით ცდილობს გაანათოს ყველა ის შარა-გზები და გზაწვრილები, რომელზედაც კაცობრიობას უვლია თავის გაჭირვებულ მოგზაურობის დროს ცივილიზაციის სარბიელზე.

რაცა ვთქვით კაცობრიობასა და ადამიანზე, იგივე ითქმის კერძოთ ერსა და იმის ცხოვრება-განვითარებაზე. ის რაც ეხმარება და შეულის კაცობრიობის წინსვლას, ხელს უმართავს ერის წარმატებასაც; ის რაც მართალია კაცობრიობისათვის, ჭეშმარიტებაა ერისათვისაც. და ზემოხსენებული აზრები სახელმძღვანელოდ მიაჩნია იმ ერს, სადაც არსებობს მეცნიერება, სადაც მეცნიერული ინტერესია განვითარებული, ფეხშედგმულია თვით-შეგნების მიდრეკილება.

მაგრამ ჩვენში, როგორც ზევით მოგახსენეთ, ასეთი ჭეშმარიტება, უკუღმართ გარემოების გამო, უკუგდებულია: ბევრია ისეთი მოაზრე, რომელსაც წარსულის შესწავლა ნაკლებად აინტერესებს და რომელიც ყველა იმათ, ვინც ძველთა ძველის და წარსულის მტვერში მუშაობს, მუქთა ხორას ან ჩამორჩენილ კაცს ეძახის. ჩვენში რომ ასეთი გაუგებრობა არ არსებობდეს, განა დიდის სიფრთხილით და მოწიწებით არ მოვეპყრობოდით ისეთ ნაშთს, რომელიც ჩვენი წარსულ ცხოვრების ცოცხალი ისტორიაა და მოწმე? მე მოგახსენებთ მცხეთის ტაძარზე, რომლის არე-მარეში ჩვენი კერპთ-თაყვანისმცემლობა დამარხულა და რომლის ფრთეთა ქვეშე ქრისტიანობა აღორძინებულა.

გარეთ და შიგნით ეს ჩვენი წარსულის ძეგლი გაღატაკებულ სავანეს წარმოადგენს: ერთი ხე, ერთი ძირი კეთილსუნნელოვანი ყვავილის ბუჩქი იმის საკმაოდ ფართო გალავანში არ მოიპოება. შენი ჰირი წაიღოს ხემაც და ბუჩქმაც, კოინდრის თესლი მაინც ვეღარ ჩაათესლეს ამ წმინდა წალკოტში, რომ გაზაფხულზე თვალის სასიამოვნო ზურმუხტის მინდორი აბიბინებულიყო ეკლესიის გარშემო!

ახლა შიგნით შევიდეთ. შესავალი კარები გეტყვით, რომ როგორც გარეთ, შიგნითაც უპატრონოდ ყოფილა დატოვებული ძვირფასი საუნჯე. მოველოდით, რომ კარების გაღებისათანავე ტაძრის კედლები თვალწინ გადაგვიშლიდნენ ქრისტიანობის დამყარებისა და ცხოვრების ავ-კარგს ცოცხალის და ჩვეულებრივის სურათებით; გვეგონა, რომ აქ დავინახავდით ყველა იმათ, რომელნიც ასი და ათასი წლის განმავლობაში თავ-დადებით იბრძოდნენ ეკლესიისა და მამულისათვის, თავსა სდებდნენ სარწმუნოების და მამულის სიყვარულის საკურთხეველზე. ასეთის მეთოდით სწარმოებდა ჩვენში საეკლესიო მხატვრობა და ამ მეთოდის ხელოვნებით ამკობდნენ საქართველოში არა

*) შავი ორშაბათის წინამძღოლებს ეძახიან წლევანდელ მარშლებს, რადგან მათი არჩევანი შავ-ორშაბათს მოხდა.

**) ძველი ეგვიპტის ქალაქი.

ებსაც შვილი ეყოლებათ გათ-
ამდე. იმ საზოგადოებათა წევ-
, რომლებსაც მიზნად აქვთ ქალ-
და ბავშვთა დაცვა, უნდა მიენი-
უფლება—დახმარება და მფარვე-
ა გაუწიოს ქალებსა და ბავშვებს
სახელოსნოებში, რომლებიც სარ-
ობენ ქალთა და ბავშვთა შრო-
. დასასრულ, კრებამ სურვილი გა-
თქვა, რომ გაუქმდეს როსკიპ-ქა-
ის რეგლამენტაცია და ექიმებისა
პოლიციის მიერ მათი ოფიციალურის
ნება და მომატებულ იქნას სამკურა
ო სადგურების რიცხვი გადამდებ
რიულ სენით შეპყრობილთათვის,
ობა ამ სადგურებში უნდა იყოს
ასთვის ხელმისაწვდომი და არა-
ეს არა-ძალდატანებითი.

ცნა რა, რომ პროსტიტუციისა და
რიულ სენთა წინააღმდეგ ბრძო-
თვის დიდი მნიშვნელობა აქვს
გაზრდის ზნეობრივად რიგიან
რდასა, კრებამ თავის მოვალეობად
ვალა, ყურადღება მიაქცევინოს იმ
ნისტროებს, რომლებსაც აბარიათ
ალო სასწავლებლები, რომ აუცი-
ლად საჭიროა, სასწავლებელთა
რის მოწაფეებს გონივრულად გა-
ან სქესობრივ ცხოვრების საფუ-
ნი და ვენერიული სატკივრები.
ბამ გადაჭრით გამოსთქვა აზრი,
გარყვნილ ბავშვებისთვის საგან-
ულო აღზრდა დაწესდეს თვით-
რთველობათა შემწეობით. კრება
ხურა; დაადგინეს, შემდეგი კრება
სკოვში მოიწვიონ 1912 წელს.

**პეტერბურგი.** კოლომიაჟის სა-
დე მოედანზე გაიხსნა ჰაერში ფრე-
კვირა. დაიწყო საერთაშორისო
რში ფრენის შეჯიბრება სრულიად
სეთის საიმპერატორო ჰაეროკლუბის
რველობის ქვეშ. შეჯიბრებაში მო-
აწილეობას იღებენ ავიატორები პო-
ვი (რუსეთი, რაიტის ბიპლანზე),
სტიონსი (ბელგია) და ედმონდი
ვეიცარია, ფარმანის ბიპლანზე), ბა-
ნესა ბელ ლართში (საფრანგეთი,
ზელის აპარატზე), ვინცირსი (გერ-
ია, ანტუანეტის ბიპლანზე), და
რონი (საფრანგეთი, ბლერიოს მო-
პლანზე). ფრენის დაწყების წინ
ლაიხადეს პარაკლისი, ფრენა და-
ო ნაშუადღევის 2 საათზე, შეჯი-
ება იყო პეტერბურგის დიდ პრიზ-
. ეს პრიზი მიეცემა ერთი კვირის
ნმავლობაში უვლდა შეჯიბრებაზე,

მასთან პირველი პრიზი 5500 მან., მეორე 3800 მ. უვლდაზე დიდ ხანს ჰაერში დაჰყო ქრისტიონსმა, რომელმაც პირველად დაჰყო 11 წუთი და 47 წამი, მეორედ 10 წუთი, 43 წამი, ედმონდმა პირველად დაჰყო 5 ნახევარი წუთით, მაგრამ მეორედ გაფრენის დროს გაგიდა წრიდან და მშვიდობიანად დაეშვა ძირს. მართონმა პირველად დაჰყო 7 წუთი და 3 წამი, მეორედ 10 წუთი და 7 წამი, ამასთან 38 საჟენის სიმაღლეზე აფრინდა. ამ პრიზზე შეჯიბრება მოხდება უოველ დღე, 2 მაისამდე. დიდი ქარის გამო შეჯიბრება შეაჩერეს 5 საათამდის. შემდეგ დაიწყო შეჯიბრება უოველ დღიურ პრიზებზე. მთელი დღის განმავლობაში აფრენაში 280 მან. და 280 მან. სწრაფ ფრენაში. ორივე პრიზები მიიღო ქრისტიონსმა, რომელმაც დაჰყო ჰაერში 22 ნახ. წუთი და წუთში 4 ნახ. ვერსს გადიოდა. 6 საათზე ოფიციალურად შესწყდა შეჯიბრება. ამ დროს განმავლობაში რუსეთის ავიატორმა პოპოვმა სურვილი განაცხადა აფრენაზე დროს ჩაურიცხავად. პოპოვის აფრენის დროს დამსწრე საზოგადოებამ ტაშით დაჯილდოვა უვლდა ჰაერში მფრენავი.

## ქუთაისის ამ-ბარბი

შეერთებულმა ცდამ თავისი ნაყოფი მოიტანა: სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა დაემორჩილა მაზე მიტანილ იერიშს და ქართულ გიმნაზიის შენობის დასამთავრებლად გასცა დამატებითი სესხი, 31 ათასი მანეთი. დიდი შრომა დასჭირდათ გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტის მეთაურთ, რომ ეს ფული გამოეტანათ.

ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო და სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარემ ვერც ეხლა გადაუხვია ჩვეულობას: საამშენებლო კომისიის დაუკითხავად მიიღო 7000 მანეთი, აქედან 2,200 მანეთი გასცა კომისიის გადაწყვეტილებისა თანახმად, დანარჩენ ფულის შესახებ-კი არავინ იცის არაფერი. საამშენებლო კომისიის წევრნი სცდილობენ კრების მოწვევას, რომ გაიგონ, რა გზა უჩვენეს ამ ფულს, მაგრამ დღესასწაულებისა გამო ეს ვერა ხერხდება მოგეხსენებათ, შეშინებული კაცი ფრთხილია—იქნება აღებულ ფულს არაფერი საფრთხე არ მოელის, მაგრამ უწყობას რომ მიეჩვია საზოგადოება, აღარაფერი სჯერა და ჟამად ყველა ამ ფულზე ლაპარაკობს.

ვიცი კარგად, რომ ეს წერილი ბევრს არ ეპაშნიკება, და ასტყდება მითქმა-მოთქმა ჩემზე, ვინ არის, რა უნდა, რად ჰვირევს საქმეს და სხვა ამისთანა, მაგრამ რა ჰქნას მემატიანემ, თუ თვით საზოგადო მოღვაწენი იძლევიან მასალას. ნუ გადაუხვევენ სწორ გზას, დალოცვილები, და არც არავინ ინდომებს მათზე ლაპარაკს.

***

აქამდის გვეგონა, რომ ადმინისტრაცია აღმასრულებელი ორგანო იყო მთავრობისა და იმის მოვალეობას შეადგენდა წესიერების დაცვა და სხვა და სხვა გადასახადის აკრეფა. აღდგომის მესამე დღეს ქუთაისის ბულვარზე ქუთაისის მაზრის ადმინისტრაციის აგენტები სულ სხვა როლში ვნახეთ, მათ ქველმოქმედობის სამოსელი ჩაეცვათ და ხალხს იწოდებდნენ სეირნობაზე, რომლის შემოსავალი უნდა მოხმარდესო ქუთაისის მაზრის ულატაკეს მცხოვრებთ. ამისათვის ბულვარი ლამაზათ მოერთოთ, მოეწყოთ კარვები, შეეგროვებინათ ნივთები ლატარია-ალეგრისთვის და სხვა. ამინდმა მაინცა და მაინც ხელი ვერ შეუწყო ქველ-მომქმედ პოლიციელებს და უთუოდ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ხალხი სეირნობას ნაკლებად დაესწრო. ყოველ შემთხვევაში რამდენიმე ასი მანეთი შეგროვდებოდა. ეს ფული ალბად თავის მიზანს მიაღწევს...

მაგრამ თუ ჩვენ ამ საგანზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, არა იმიტომ, რომ აღგვენიშნა, რა შემოსავალი ჰქონდა სეირნობას. ჩვენ დაგვაინტერესა პოლიციელების როლმა ამ საქმეში. ღარიბი, უმწეო ხალხი წინადაც ყოფილა და, ეჭვი არ არის, ეხლაც არის სოფლად და ქალაქად და არა ყოფილა, მგონი, ჯერ ისეთი შემთხვევა, რომ გაჭირვებულთა და დავრდომილთა დახმარება პოლიციის მოხელეთ მიეღოთ თავიანთ თავზე. უთუოდ არაჩვეულებრივი რამ უნდა მომხდარიყო, ვეთხარი მე ჩემს თავს, თორემ სად პოლიცია და სად ქველმოქმედება. ჩემი ეჭვები სხვასაც გავუზიარე და ბასის დროს ამ საგნის შესახებ ერთი ფრიად საყურადღებო აზრი გამოითქვა. ჩვენ კარგად ვიცით, სთქვა ერთმა დაკვირვებულმა კაცმა, რომ შარშან მოსავალმა უმტყუნა ხალხს და ამ ჟამად ბევრი, ძალიან ბევრი შიმშილს განიცდის. შიმშილზე ლაპარაკი ადმინისტრაციის მოხელისათვის, როცა უმაღლესი მთავრობა ამ საგანზე სდუმს, შეუძლებელია. ამავე დროს იგივე მოხელე ჰხედავს, რა უბედურობაშია ის ხალხი, რომელსაც იგი თავის მოვალეობის აღსრულების დროს ულმობელად სთხოვს გადასახადს. ეტყობა წლევანდელი სანახაობა, შიმშილობის გამო, დიდათ განსხვავდება, სხვა წლების სანახაობისაგან, გული მოუკლა მოხელესაც-კი და მან ვერაფერი გამონახა იმაზე მეტი, რომ საზოგადოებრივ ქველმოქმედებას მიმართა, და ამნაირად დაიბადა აზრი სეირნობის გამართვის შესახებ.

ასე და ამრიგად დავჩანაკლდით, პოლიციების საქველმოქმედოდ გაგვიხდა საქმე.

***

იმ დროს, როცა ქალაქში დღესასწაულების მისაგებებლად ემზადებოდნენ, თურმე სხვის ქონების მოყვარულნი სხვაგვარ სამზადისში იყვნენ. ისინი რიონის ნაპირიდან წამოსულ არხით, უჩინრად მიუახლოვდნენ ძმათა ოცხელის სახლს ბულვარის პირდაპირ და შეუდგნენ იქ მოთავსებულ მაღაზიების საძირკველის თხრას, რომ დღესასწაულებში, როცა მაღაზიები დაკეტილი იქნებოდა, თავისუფლად ეთარეშნათ. მუშაობა, როგორც ირკვევა, დიდი დასჭირდათ, მაგრამ როცა კაცი გატაცებულია რაიმე აზრით, იმის შრომას ვეღარა დაუდგება-რა წინ. საძირკველის გათხრა, იატაკის გაჭრა და ფარ. გაბუნიას მაღაზიაში თავის ამოყოფა ერთად უნდა მომხდარიყო, და რადგან აქ ფული არ აღმოჩნდა, კედლის განგრევით ჯერ მეზობელ მაღაზიაში გადასულან და მერე ძმ. ოცხელებთან. აქ რკინის კასა გაუტეხიათ და რაც კი ფული უნახავთ, წაუღიათ. ყოველივე ეს უნდა მომხდარიყო ორი დღის განმავლობაში. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ აღდგომის პირველ დღეს რამდენსამე კაცს და მათ შორის თვით ოცხელსაც შეუმჩნევიათ სინათლე მაღაზიებში, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ, რადგან უფიქრიათ, ნოქარს დაუდევრობით ელექტრონის სინათლე არ დაუკეტიაო. როცა მეორე დღესაც შეუმჩნევიათ სამს მაღაზიაში სინათლე, მაშინ თავი შეუღვიათ, მაგრამ გვიან-ღა იყო თურმე. ფული, დაახლოვებით 4,000 მანეთი, ზოგი თვით ოცხელისა, ზოგიც სხვათაგან მიბარებული, წაუღიათ. დარჩენიათ ჩემოდნებში წასაღებად მომზადებული რაც-კი ძვირფასი საქონელი უნახავთ მაღაზიებში. პოლიცია და გამომძიებელი შეუდგნენ საქმეს, იძიებენ, იკვლევენ და ჩვენც მათი შრომის შედეგს დავუცადოთ.

ნატალიაშვილი.

## ნიავ-ქარი

ლეწავს და ამსხვრევს
ფანჯრისა მინებს,
მიდამოს არხევს,
დაჰქრის, სისინებს.

**

ბურუსში მახვევს,
თავს დამქვითინებს
შხამ-ნაღველს ანთხევს,
მჩხვლეტს, მილიტინებს.

**

სულს საით იწვევს,
რას მატყობინებს?—
მწამს, ბედის მორევს
შემატოპინებს.

ი. გრიშაშვილი.

## დილა

ცის კამარა მოლაჟვარდე
დასცქერს სოფელს და დაჰხარის
და გადაშლილ მთის ყვავილებს
მარგალიტის ცვრებსა აცრის...

***

სამზეური ალიფრად ჰკრთის,
ღრუბელთ გუნდი გაფანტულა
და წალკოტი უფერული
ზურმუხტის ფრად შესუდრულა.

***

დილის სიო ფერად ბუჩქნარს,
ვით არშიყი თავს ევლება
და სოსანი, ნორჩი ია
ილვიძებს და იფურჩქნება...

***

მზე ამოხდა და სამყაროს
თვის სხივები გადმოჰფინა;
იადონმა ბუჩქის ძირში
სამურად შეუსტვინა...

***

სიამის ხმა—იდუმალი
გულს შვების ცვრად ეპკურება;
და ცხოვრების შავი ჩრდილი
ფერს იცვლის და უკვე ჰქრება.

ს. ფაშალიშვილი.

(...)ისეთ ტაძარს, როგორიც სვე-
ცხოველია, არამედ მივარდნი(...)
ფლის პაწია სამლოცველოსაც
. და ამის მაგიერად რა ვნახეთ?
ახეთ, რომ ვილაცის ულმრთო
ლს ეს ცოცხლად მეტყველი ის-
ორია შეუბლალავს და წაუშლია.
ტა ეძინა თუ თავს განზრახ იმძი-
რებდა აღმოსავლეთ საქართვე-
ოს სამღვდელოება და იქაურივე
რწყინვალე გვართა შვილნი, რო-
ა ჩვენი ქრისტიანობის მოწამეთა
ოღვაწეობის სურათებს და მამუ-
ის დამცველ გმირთა ქველობის
პიზოდებს კირ-წყლით სთითხნიდ-
ენ?! თუ ეს იმითი უნდა ავსხნათ,
ომ უნდოდათ თავიანთის გაყუჩე-
ით და ხმის ამოუღებლობით იმა-
ვის ესიამოვნებინათ, რომელთაც
იზნად დაესახათ გაექროთ უკანას-
ნელი თვალსაჩინო ნიშნები ჩვენის
არსულისა. ვსთქვათ, სდუმდა აქაუ-
ი სამღვდელოება, სდუმდნენ გო-
ისა და ალავერდის ქორ-ეპისკო-
ოსნი, მაგრამ დავიჯეროთ, რომ ეს
უხრანსკები და ამილახვრები, ანდ-
ონიკაშვილები, ამირაჯიბები, ერი-
თავები, ჭავჭავაძეები და სხვანი,
რომელთაც სამოქალაქო და სამხე-
დრო დაწესებულებაში გამოსაჩენ და
პირველი ადგილები ეჭირათ და დიდი
გავლენაც ჰქონდათ,—ესენიც შესძ-
ლებენ თავის გამართლებას, რომ მათ
მამა პაპათა საგმირო საქმეების საცავი
ასე გატიალებულია: ვახტანგ გორ-
გასლანის საფლავს წარწერა არ აჩ-
ნია, ერეკლე მეფის და გიორგი მე-
ცამეტის საფლავებს საბრალო და
უბადრუკი „კუბო კრული“ ადგიათ
და ამას კავკასიის მთავარ-მართე-
ბელ მარკიზ პაულიჩის უნდა
უმადლოდეთ. ნეტა რით გაიმართ-

ლებდა თავს, ცოცხალი რომ იყოს, თვით გრიგოლ ორბელიანი, რომელიც კავკასიაში ხშირად მეფობის უფლებით მოსილი იყო და რომელსაც ამის გამო მისი დისწული, მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილი „ატილას ტახტზე მჯდომარეს“ უწოდებს? განა მას არ შეეძლო ქრისტეს კვართის საცავი ღირსეულად დაეცვა?!

ან შეიძლება ეს ფეოდალები და ხელისუფლები არ ემადლიერებოდნენ არც ირაკლის და არც გიორგის იმისთვის, რომ მათ ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი სხვანაირად დაატრიალეს და შური იმით იძიეს, რომ მათი ხსენების დაკნინება მოინდომეს? თუ ამ შეხედულებით ხელმძღვანებოდნენ, რაღად ღვრიდნენ სისხლს ორთავიან არწივის დროშის ქვეშ, რაღად სდებდნენ თავს რუსის იარაღის ძლიერების გამოსაჩენად სპარსეთისა და ოსმალეთის საზღვრებზე, შამილისა და მთიელთა სიმაგრეების ასაღებად?! არა, ასეთი სამდურავი მათ არასოდეს არ დასტყობიათ. მაშ რაღა მიზეზია? ისა, რომ ვისაც პირად ეგოიზმის მეტი არაფერი აღძრავს, მას ადამიანობაც ავიწყდება და სხვისი პურ-მარილიც, თორემ აი, დღესაც რომ ჩვენი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მათ ეკუთნის, და თანდათანობით სხვებს უგდებენ ხელში—ეს ყოველივე ვისი ნაწყალობევი აქვთ, ირაკლისა და გიორგის, რომელთა წყალობის სიგელები რუსის კანონმა განამტკიცა და ამით თითქმის მთელი საქართველოს მიწა ხსენებულ დიდკაცობას გადასცა. კარგად დაუჯილდოვებიათ თავიანთი მწყალობლები!

აქა-იქ კედლებს, ეტყობა, რომ ძვირფას საუნჯეთა დამფასებლებს მოუნდომებიათ მცხეთის ტაძრის მხატვრობის აღდგენა. ფულიც შეუკრებიათ, მაგრამ ვილაც, სინოდის კანტორის მოხელეს, ქართველს არდაზიანს ეს ფული გაუფლანგავს და ან, ვინ იცის, როდის ეღირსება განზრახული აზრი განხორციელებას? უნებლიეთ გებადება ეჭვი, ვაი თუ კიდევაც ვინმემ ჩააგონა ამ უკუღმართ ქართველს, რომ არ მორიდებოდა ისეთ ფულის გაფლანგვას, რომლითაც ქართველის თვითცნობიერების გასაღვიძებელი საუნჯე უნდა განახლებულიყო.

როცა ეს ამბავი მოწაფეებმა გაიგეს, მასწავლებლებს ეკითხებოდნენ: განა შეიძლება ასეთ დაცემულ შვილის (არდაზიანი) პატრონმა ერმა წელი გაიმართოს და წინანდებურად რაიმე რწმენით გაიმსჭვალოს და ამ რწმენას ჩვენ წინ მდგომარე ნაშთის მსგავსი ძეგლი აუგოს? ექსკურსიის ხელმძღვანელმა, სხვათა შორის, ასეთის პასუხით დააკმაყოფილა მოზარდთა ცნობის-მოყვარეობა: „რატომ არა. ამის ნიშნებს დღესაც ცხადათ ვხედავთ. ქართველი კაცი ტანჯვაშია გამობრძმედებული. მან რწმენით იცის გატაცება და ხშირად რწმენა ინსტიქტადაც ექცევა ხოლმე და მაშინ თითქო შეუძლებელსა სძლებს. მე-5—6 საუკუნის რელიგიურ რწმენის ნაშთს რომ განცვიფრებაში მოჰყავხართ, რატომ ახლანდელი რწმენის ნაყოფი—ტფ. ქართული გიმნაზიის შენობა არ გაკვირვებთ: იმაზე უკეთესი და უდიდესი შენობა კავკასიაში არ მოიპოება სასწავლებლის და მეცნიერების დასაბინავებლად. ქართველები კავკასიაში ყველაზე უფრო დარიბი ხალხია, მაგრამ სწავლა-განათლებისადმი მისწრაფებამ, რომელიც ახალი რწმენის ღმერთადაა აღიარებული, ქართველებს თავმოსაწონი მეცნიერების ტაძარი ააგებინა. ამას მალე მხარს დაუმშვენებს თქვენი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ახალი შენობაც. და თუ ამ სასწავლებლებში ჩვენი ერის საჭიროებაზე და სულის კვეთებაზე გამოჭრილი პროგრამმები იქმნება მიღებული ყმაწვილთა გონების და ზნეობის განსავითარებლად, მწუხარების უღელი საკმაოდ შეგვიმსუბუქდება.

მართალია, გადაჭარბება გვჩვევია, მაგრამ ეს ხვედრია ისეთ ადამიანისა და ერისა, რომელსაც დიდი ხნის თავისუფლებით დატკბობა არასოდეს არ ღირსებია“.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის სიამოვნება, რომელიც ჩვენ გამოვსცადეთ მცხეთის დედათა მონასტერში, სადაც პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი და მისი მეუღლე ასაფლავია. აქ ყველაფერს დიდი მზრუნველობა ეტყობა. ეს სწორეთ რომ კეთილმორწმუნე ქალთა სავანეა, და ამით აიხსნება მისი კეთილ-განწყობილებაც. დიდის სასოებით მოვისმინეთ აქაურ მონაზვნის ნამდვილი, ტკბილი ქართული კითხვა საღვთო წერილისა. დიდის აღტაცებით მიუგებდნენ ექსკურსანტები ტკბილად სასმენელ „იავ-ნანას“, რომელსაც აქაურ პროგიმნაზიის მოსწავლე ქალთა გუნდი გალობდა. მონასტრის წინამძღვარმა ქალმა ექსკურსანტებს ყველა ღირს შესანიშნავი ადგილი და ნივთი გააცნო.

ნაცნობი.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**ჩამოხრჩობა.** 26 აპრილს, დილის $4^1/_2$ საათზე, საგუბერნიო საპატიმროს ეზოს ხრამში სისრულეში მოიყვანეს კავკ. სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლის ძალითაც ჩამოხრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი ჯიბრაილ ბენიამინოვს. ბენიამინოვს ჰბრალდებოდა სურამის ბოქაულის ალბერტოვის მოკვლის განზრახვა, სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენა და ფეფელიავის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება.

**შიმშილობა სატუსაღოში.** როგორც ბაქოს გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილის ტუსაღებს გაფიცვა გამოუცხადებიათ.

**ქალაქის დამფასებლების არჩევა.** 24 აპრილს მოხდა ტფ. ქალაქის გამგეობისა და დამფასებელ კომისიის შეერთებული სხდომა დამფასებლების ამოსარჩევად. უნდა აერჩიათ 14 დამფასებელი; ხოლო მთხოვნელი იყო 100 კაცზე მეტი. შეერთებულმა სხდომამ დამფასებლად აირჩია; 6 სომეხი, სამი რუსი და 5 ქართველი: ზ. ბილანაშვილი, პ. გელეიშვილი, ილ. ნაკაშიძე, პ. კალანდაძე და შ. ამირეჯიბი. კურიერებს და სხვა მოხელეებს ამ დღეებში დანიშნავს დამფასებელი კომისია.

**ჟურნალისტთა საზოგ. კრება.** კვირას, 25 აპრილს, ტფ. ბირჟის სადგომში მოხდა კრება ჟურნალისტთა საზოგადოებისა. დაესწრო 200-მდე კაცი. კრება დაიწყო შუადღის 12 საათზე. ყიფიან-ნაგურსკის საქმის გამო შემდგარ სასამართლოს თავმჯდომარემ პირველად დამსწრეთ გააცნო მასალა აღნიშნულ საქმის შესახებ. ლ. ყიფიანისა და ვ. ნაგურსკის დავალებით ილაპარაკა ნაფიცმა ვექილმა ს. არწრუნმა. თითქმის საათ-ნახევარზე მეტ ხანს ილაპარაკა ვექილმა. ოთხი საათი იქნებოდა, სასამართლომ სხდომა შესწყვიტა და განაჩენის გამოცხადება გადასდო საღამოს 6 საათისთვის. საღამოთი გამოაცხადეს შემდეგი განაჩენი: პატიოსნების სასამართლომ სცნო, რომ ჟურნალისტები ლ. დ. ყიფიანი და ვ. ვ. ნაგურსკი დამნაშავენი არიან იმაში, რომ ისინი დანაშაულობის შემამსუბუქებელ გარემოების დროს, 1909 წლის 10 ივნისის ხელშეკრულების ძალით შევიდნენ „კურიერის“ ამხანაგობაში, რომლის მიზანიც ეწინააღმდეგება დამოუკიდებელ ჟურნალისტის ტრადიციებსა და დანიშნულებას. რაც შეეხება ბ-ნთ ყიფიანისა და ნაგურსკის ბრალდებას მოსყიდვის შესახებ ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან, კერძო პირთა თუ სამრეწველო დაწესებულებათაგან, ცნობილ იქმნას, რომ ისინი ამაში უდანაშაულონი არიანო.

**ი. გოგებაშვილის ნაწერები.** იბეჭდება და ამ ორ თვეში გამოვა ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები.

**„ლელო“.** როგორც „ნ. რ.“-ს გაუგია, ერთ ჯგუფს განუზრახავს დაარსოს ტფილისში მობურთავეთა საზოგადოება „ლელო“. როგორც ვიცით, ბურთაობა ჩვენში წინად ძალიან იყო გავრცელებული, ხოლო დასავლეთ საქართველოში ეხლაც მისდევენ ამ გასართობს. ხსენებული ჯგუფი უკვე ადგენს წესდებას საზოგადოებისას. საწევრო გადასახადი წელიწადში 3 მანეთი იქნება.

**ჰაერში მფრინავი.** „ტ. ლ.“-ში ვკითხულობთ: 22 აპრილს კავ. ჰაერში ფრენის მოყვარულთა ჯგუფის წევრი ა. ვ. შიუკაშვილი მახათის გორიდან (ნაძალადევს იქით) საცდელად, გაფრინდა დელონის ტიპის ბიპლანით. ეს ბიპლანი გაუუმჯობესებია შიუკაშვილს. ფრენამ კარგად ჩაიარა.

**ბოქაულის მოკვლა.** ზანგეზურის მაზრაში მოუკლავთ ბოქაული ვ. გ. მამულაშვილი. ეს მკვლელობა ჩაუდენიათ სპარსელ კონტრაბანდისტებს, რომელთაც ბოქაული წასწყდომია. მკვლელები სპარსეთში მიმალულან.

**კახეთის რკინის გზა.** კვირას, 25 აპრილისთვის, ტფ. თავ.-აზ. დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში დანიშნული იყო საგანგებო კრება ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა. განსახილველი იყო საკითხი კახეთის რკინის გზის გაყვანის შესახებ. კრებას უნდა გადაეწყვიტა, თითონ შეადგინოს სააქციონერო საზოგადოება თუ თავისი უფლება კონცესიონერისა მიჰყიდოს სხვას. რადგან გუბერნიის მარშალი სხდომას ვერ დაესწრო, ოფიციალური კრება ველარ მოხდა და გადაიდო 2 მაისისათვის. თავ. პ. ი. თუმანიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა კერძო თათბირი აღნიშნულ საკითხის განსახილველად. ზოგმა ორატორმა საკითხის განხილვა შეუძლებლად ვერა სცნო იმ დრომდე, სანამ მინისტრთა კომიტეტის დადგენილებას საბოლოოდ არ დაამტკიცებს სახელმწიფო საათბირო და საბჭო.

**მთვრალი კლასის დამრიგებელი.** 23 აპრილს, ღამის 11 საათზე, როგორც პოლიციის ცნობა გადმოგვცემს, ნიკიტინის ცირკის კასასთან მისულა ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიის კლასის დამრიგებე-

ლის თანაშემწე ვეტრენკო სამი მოწაფით და მოუთხოვნია პროჟექტორში შესასვლელი ბილეთები. პროჟექტორის გამგეს უარი უთქვამს მოწაფეების შეშვებაზე, რადგან დრო გადასულიყო. ვეტრენკოს ყვირილი აუტეხნია და ხმა მაღლა თხოულობდა თურმე მოწაფეების შეშვებას. ყვირილზე პოლიციელი მისულა კასასთან და ვეტრენკო პოლიციაში წაუყვანია. ვეტრენკოს პოლიციის ნაწილშიაც ყვირილი განუგრძვია და შეურაცხყოფა მიუყენებია უფროსს უბნის ზედამხედველის თანაშემწისათვის. ვეტრენკო ღამე გაანთავისუფლეს, ხოლო იმის საქციელზე ყველაფერი აცნობეს პირველ გიმნაზიის დირექტორს.

✦ **ტუსაღის მოკვლა.** გორიდან გვწერენ: 24 აპრილს სოფ. სკრის (გორის მაზრა) მახლობლად ხაშურელ სტრაჟნიკს გორში მიჰყავდა ვლადიმერ დავლორაშვილი. ამ უკანასკნელს, როგორც სტრაჟნიკს განუცხადებია, გაქცევა დაუპირებია. სტრაჟნიკს თოფი უსროლია და იქავე მოუკლავს.

✦ **ახალი წიგნაკი.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნაკი: „წერილი მიწის მუშებს“, ტ. ართმელაძისა. ფასი ერთი შაური.

✦ 6 აპრილს პოლიციის მე-5 ნაწილში სიონის ქუჩაზე ქურდებმა გასტეხეს ძმ. ჯავახოვების მაღაზია და გაიტანეს 8000 მანეთის აბრეშუმეულობა. ეჭვით დააპატიმრეს ტფილ. მცხოვრებნი ნიკოლოზ ბაქრაძე, ნიკოლოზ ხუტაშვილი, სედრაქ სარქისოვი, გეურქ ივანოვი, გრიგოლ გულიევი, ბაგრატ ხორატოვი, არმაკ სიმონიანცი, რაჟდენ გვარამაძე. დაპატიმრებულთაგან ზოგი ვაჭარია, ზოგი უსაქმოა.

✦ 24 და 25 აპრილს ტფილისში დაპატიმრეს 52 უპასპორტო კაცი.

✦ ტფ. გუბერნატორის დადგენილებით, დაჯარიმებულ იქმნენ ტფილისის მცხოვრებნი: სერგო კუპრიანოვი—100 მან. (ანუ 1 თვით დაპატიმრება). პოლიციის მოხელეს შეურაცხყოფის მიყენებისათვის, გაჯი ფარაჯულა 25 მან.

## მოწერილი ამბები

**ს. კვერნაულა** (თიანეთის მაზრა). როგორც გაზეთებში იყო მოხსენებული, აქ მალაკნებმა იჯარით აიღეს ილია წინამძღვრიშვილის მამული. რადგან მალაკნებმა პირობა დარღვიეს, ილიამ ისევ ჩამოართვა მათ მამული და ადგილობრივ გლეხს გადასცა. მალაკნებს ორი წელიწადი ეჭირათ ეს მამული. მამულის პატრონს წელიწადში 300 მან. აძლევდნენ, თითონ-კი ხალხისაგან იღებდნენ 650 მანეთს წელიწადში, ასე რომ ორ წელიწადში ხალხმა ტყუილა უბრალოდ დაჰკარგა 700 მან. მალაკნებმა ახლა საყარაულოში აიღეს ჭავჭავაძის მამული 12 წლით. ამავე სოფელში გიორგი წინამძღვრიშვილმა მიჰყიდა გლეხებს თავისი მამული, ბეღ აიღო 1000 მან, ნარჩენი ფულიც მოაგროვეს გლეხებმა, ზოგმა ხარი გაჰყიდა, ზოგმა კამეჩი და სხვა. გიორგი კი ვეღარ უმტკიცებს. კარგი იქნება, გაუთაოს გლეხებს საქმე, როგორც იქნება, თორემ სხვებსაც ხალხისი ეკარგება მამულის ყიდვის.

ერწოელი.

**გორი.** 23, 24 და 25 აპრილს რუსეთის საუკეთესო ჯიშის ფრინველის მომშენებელ საზოგადოების ტფ. განყოფილებამ აქ, ქალაქის საკრებულოს საზაფხულო სადგომში, გამართა ფრინველების გამოფენა. სხვათა შორის, გამოფენილი იყვნენ ადგილობრივ მოშენებული დ. რ. მაჭავარიანის, გ. ა. ენგელმანის, მ. რ. ერისთავის, ტერ სტეფანოვის და სხვათა ქათმები. ფრინველთა ხეირიან მოშენებისათვის ვერცხლის მედლები მიიღეს: დავით მაჭავარიანმა, კნ. ეკატერინე ერისთავმა, კაპიტანმა გლ. ენგელმან და მომრიგებელმა შუამავალმა თავ. მიხეილ ერისთავმა; ხოლო ბრინჯაოს მედლები: ტერ სტეფანოვმა, ტფილისელმა ეგეტცელმა, ტფილისელმავე შკინინმა და ადგილობრივ ბოლკის აფიცერმა სედელნიკოვმა და სხვებმა.

თუმცა გამოფენას ამინდი ხელს არ უწყობდა, მაგრამ ხალხი მაინც საკმაოდ დაიარებოდა. სამწუხაროდ კვერცხები ძალიან ძვირია, თითო ღირს 25 კაპ. და მეტად. ფრიად სასარგებლო იქმნება, ასეთი გამოფენა წელიწადში ერთხელ მაინც იმართებოდეს ისეთ ადგილას, როგორიც, მაგალ., ცხინვალია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს შეუძლებელია, რადგან დიდს ხარჯს გამოიწვევს. კარგი იქნება, ჩვენმა ინტელიგენტებმა ხელი შეუწყონ ხეირიან ფრინველის მოვლა-მოშენებას სოფლად და ამით სასოფლო მეურნეობაში ერთ შემოსავლიანი წყარო გაიჩინონ.

ვინმე სანგანიძე.

## ბიბლიოგრაფია

**„ცხოველების გამჭრიახობა“.** პატარა ბავშვების საკითხავი წიგნი, შედგენილი ან. წერეთლის მიერ, ფასი 25 კაპ.

ამ დღეებში გამოვიდა პატარა ბავშვების საკითხავი წიგნი, „ცხოველების გამჭრიახობა“. ამ წიგნაკმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რამდენად დაუღალავად შრომობს ქ-ნი ან. წერეთლისა, რომ პატარებს შესაფერი საკითხავი წიგნი მიაწოდოს.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში საყმაწვილო ჟურნალებს „ნაკადულსა“ და „ჯეჯილს“, ჩვენ, ქართველები, ძალიან ღარიბნი ვართ საყმაწვილო მწერლობით. ამ მხრივ ძალიან ჩამორჩენილნი ვართ სხვებზე. რუსული მწერლობა, მაგალითად, მეტად მდიდარია როგორც ორიგინალურის, ისე ნათარგმნ საბავშვო გამოცემებით. ჩვენ არა თუ ღარიბნი, ყოვლად ღატაკნი ვართ ამ მხრივ. თუ მოგვეპოვება ორიოდე წიგნაკი, ან მეტად გაქიანურებულია, პატარა აზრების გაუთავებელი ამბავი, ან ასე თუ ისე ტენდენციურია და, მაშასადამე, ბავშვის გონების დამამძიმებელი. ერთი რიგიანი საბავშვო წიგნი გამოვიდა ამ რამდენისამე წლის წინად, ქართველმა ქალებმა გამოსცეს ქართულ ზღაპრების კრებული, მაგრამ ეს წიგნი ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო თავის სიძვირის მიზეზით.

ამიტომ ჩვენ სიამოვნებით გადავიკითხეთ ახლად გამოსული წიგნი „ცხოველების გამჭრიახობა“, თუმცა ამ სათაურს არ ვეთანხმებით. ბევრია აქ ისეთი ამბავი, რაც სინამდვილეს ეთანხმება, ბევრიც იგავ-არაკია და ამიტომაც კარგი იქნებოდა სხვა სახელი ეწოდებინა პატივცემულ გამომცემელს. საერთოდ წიგნი პირველ გვერდიდანვე გიტაცებთ თავის ჩინებულის ენით, გონივრულად შეთხზულის მკვირცხლის ამბით, მოკლე შინაარსიან მოთხრობით. რომელი ამბავიც უნდა აიღოთ, ყველა მშვენიერია და, რაც ყველაზე უფრო სასიამოვნოა, სულ ყველაზე უფრო გრძელი ამბავი გვერდ ნახევარს არ აღემატება; ეს კი ძალიან უადვილებს პაწია მკითხველს წაკითხულის გაგებას.

ყველა ამბავს თავისი შესაფერი მხატვრობაც აქვს ჩართული, ასე რომ ბავშვი თან კითხულობს ადვილად გასაგებს ამბავს და თანაც მხატვრობით ერთობა. წიგნში მოთავსებულია 37 ამბავი და, როგორც თავში მოვიხსენიეთ, ყდით დამზადებული წიგნი ღირს ხუთ შაურად.

სასიამოვნოდ მიგვაჩნია ეს მოვლენა და სასურველია ბლომად გამოდიოდეს ასეთი წიგნაკები ქართულს ენაზე. ამით დიდათ წახალისდებიან პატარა მკითხველები, რომელნიც შემდეგ ადვილად შეითვისებენ უფრო გრძელსა და სერიოზულ შინაარსიან მწერლობას.

განდეგილი.

## მშვენიერი სიმრთელის ბუდე

(მცირე შენიშვნა)

წარსულის კვირის „დროებაში“ აღნიშნული იყო პატარა წერილში ბ-ნი ბროლის მიერ **წარმტაცი სიმშვენიერე** პატარა ცემისა. ამ პატარა წერილმა ჩემში გაალვიძა ერთი პატარა მოგონება, რომელიც ახასიათებს პატარა ცემს უფრო კიდევ საარსო მხრივ.

წარსულს ზაფხულს მე საგარაკოდ მივემგზავრებოდი ბორჯომში. იმავე ვაგონში ჩემს მეზობლად ისხდა სახლობა ერთის ქართველის ინტელიგენტისა. დედასაც და შვილებსაც სიგამხდრე ცხადად ეტყობოდათ და ფერიც მკრთალი ედოთ. სახლობა მიდიოდა და ბ-ნი ვახტანგ ღამბაშიძის ცემის სანატორიაში.

ზაფხულის მიწურულებში ეს სახლობა და მე ერთმანეთს შევხვდით ვაგონშივე. მე მივდიოდი ქვემო სტანციიდან ზეით ბორჯომში, სახლობაც, ცემის მატარებლით ჩამოსული, მიემგზავრებოდა ერთს თავისს ბორჯომელ ნაცნობთან სანახავად და დიასახლისის ანგელოზის დღის მისალოცავად.

რო'კა ამ სხდომას თვალი გადავავლე, საოცარი ცვლილება შევატყე. მთელს სახლობას—დედასაც და შვილებსაც—ღაღანი გაუდიოდათ, სიცოცხლით იყვნენ სავსენი და მოგაგონებდნენ გაუზვიადებლივ რომ ვსთქვათ—ახლად გაშლილს ვარდის ბუჩქსა. ეს სასწაული მოეხდინა შეუდარებელს ჰაერს და ბუნებას პატარა ცემისას.

ასეთივე საოცარი ცვლილება შევამჩნიე ყველას, ვისაც კი მთელი ზაფხული გაეტარებინა ცემის სანატორიაში.

გამოდის, რომ პატარა ცემი არის არა მარტო იშვიათი სიმშვენიერით შემკობილი კუთხე, არამედ ბუდეც იმისი, რაც შეადგენს უპირველესს საუნჯეს ადამიანისათვის. ესე იგი ბუდე სიმრთელისა, ჯანსაღობიანობისა.

საუბედუროდ საზოგადოებისა, ამას ვერ დაიკვეხებენ ესრედ წოდებული კურორტები კავკასიისა. კურორტები სავსეა სახლებით და მცხოვრებლებით, და ყველას კარგად მოეხსენება, რომ სადაც ბევრი მცხოვრებელია და მეტადრე ავადმყოფი, იქ ჰაერი ხდება და თვით ნიადაგიც იპყრობს არა ერთის სენის ბაცილებსა. ამის გამო სახელოვანი კურორტი ხშირად ისტუმრებს თავის მოაგარაკეთა სეზონის გასვლის შემდეგ უფრო უარესს მდგომარეობაში, ვიდრე იგინი იყვნენ კურორტზე მისვლის ჟამსა.

ჩემდა სამწუხაროდ, პირდაპ მე მოკლებული ვარ შეძლებას ვისარგებლო პატარა ცემით, რადგანაც გულის სიგანიერე ნებას არ მაძლევს ვიცხოვრო 2000 ფუტზე ზეით, ცემი კი 4400 ფუტის სიმაღლეზეა.

მაგრამ ვისაც გულის სიგანიერე არა სჭირს, ყველას შეუძლიან, დიდსაც და პატარასაც, ცემით სტკბებოდეს მთელს ზაფხულს და ალივსოს ჯანსაღობით, რომელზედაც დაკავშირებულია მჰიდროდ თვით სულის სიძლიერეცა.

იაკობ გოგებაშვილი.

## თეატრი და ხელოვნება

**ვასილ აბაშიძის ბენეფისი.** შაბათს, 24 აპრილს, ვასილ აბაშიძის საბენეფისოდ წარმოადგინეს „გაკოტრებული აზნაური“. საკვირველი არ იყო, რომ ხალხი საკმაოდ დაესწრო ვასილ აბაშიძის საბენეფისო წარმოდგენას. თვით წარმოდგენამ საერთოდ კარგად ჩაიარა; მობენეფისემ ძალიან აცინა ხალხი დონ-სეზარ დე-ბაზანის როლში, ნათლად დაგვიხატა იმ აზნაურის პიროვნება, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე უსაქმურობაში გაუტარებია, ულია ვალი, გაკოტრებულა ბანქოს თამაშში და აზნაურულ „ეხტიბარს“, რაინდული მიდრეკილებას-კი მაინც არ იტეხს. კარგი იყო ამ საღამოს ქ-ნი კარგარეთელიც. ზოგიერთი ადგილი მან მშვენივრად ჩაატარა. არა უშავდათრა ვ. გუნიას, თ. გოგოლაშვილს და სხვებს. როლების უცოდინარობა შესამჩნევი იყო.

დამსწრე.

**ქართული თეატრი.** კვირას, 25 აპრილს, ქართულ არტისტების ამხანაგობის მიერ ნინო ჩხეიძეს მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა ლეონიდ ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ კარგები იყვნენ ნ. ჩხეიძე (ოლგა ნიკოლაევნა) ვ. გუნია (ონუფრი) და ა. იმედაშვილი (გლუხოვცევი). საერთოთ პიესამ კარგად ჩაიარა.

ვასო აბაშიძის ავადმყოფობისა გამო ექიმ ფონ-რანკენის როლი შეასრულა ივანიძემ.

## შორეული აღმოსავლეთი

**რუსეთ-იაპონიის შეთანხმება.**

რუსული გაზეთები იუწყებიან, ვითომ რუსეთმა და იაპონიამ ხელი მოაწერეს ახალ შეთანხმებას, რომლის ძალით ორსავ სახელმწიფოს უფლება ეძლევათ თავისუფლად იმოქმედონ მანჯურიასა და მუღაეში (მანგოლიაში). როგორც ისმის, ამ შეთანხმების გამოცხადებასთან ერთად, იაპონია შეიერთებს კორეიასაო.

**კორეიაში.**

იაპონურ ოფიციოზურ გაზეთების ცნობით, კორეიაში საყოველთაო აჯანყება მზადდება. იაპონიის ჯარი საომრად დაემზადა. ამბობენ, ხმას კორეის აჯანყებაზე განზრახ ავრცელებენ, რომ ამ საბუთით იაპონიამ კორეია შეიერთოსო.

## ოსმალეთი

**ალბანია.**

(დასასრული)

ალბანელები უკმაყოფილონი არიან ოსმალეთის ახალ წესწყობილებით, უმთავრესად იმიტომ, რომ იგი მოევლინა მათ ახალ გადასახადთა და საყოველთაო სამხედრო მოვალეობის სახით. პირონი ჰფიქრობს, რომ ახალგაზრდა ოსმალთა მიერ მიღებული ენერგიული სასტიკი ღონისძიებანი ალბანელთა დასამშვიდებლად უსარგებლოდ ჩაივლისო. „მხოლოდ ტაქტიკა, დამყარებული მოთმინეობაზე, გამოიღებს კარგს ნაყოფს. აუცილებლად საჭიროა თვალსაპირველად აშენდეს ახალი გზატკეცილები და რკინის გზები ალბანიაში. ალბანელი ღარიბია: „ალბანული სადილი“ მაკედონიაში ჰნიშნავს ნახევრად მშიერად ყოფნას. ალბანელს ჯერ შეძლების შოვნა უნდა გაუადვილონ და მუშაობას შეაჩვიონ. ალბანელი ან სხვა ქვეყნებში მიდის დასახმარებლად, ან არა და უსაქმოდაა შინა. ალბანელს უნდა შეასწავლონ თავის სიმდიდრებითა და ტყეებით სარგებლობა, უნდა უშველონ მრეწველობის ნაწარმოების გასაღება, ალბანელი უვიცია: ამიტომ უნდა გაუხსნან სკოლები... ჯერ უნდა მისცენ რამე და მერე მოსთხოვონ სამაგიერო. კარგად მოვლილი ალბანია გახდება ევროპიელ ოსმალეთისთვის ძვირფას წყაროდ სიმდიდრისა, მხნეობისა და ერთგულ მოქალაქეებისა. ხოლო ცუდად მოვლილი ალბანია შეიძლება გახდეს იმ ფეხ-წამოსაკრავ ქვად, რომელზედაც შეიძლება დაიმსხვრეს ახალი ოსმალეთი“.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ალბანიის საკითხის გადაწყვეტა მარტო ოსმალეთის მთავრობასა და ახალგაზრდა ოსმალებზე როდია დამოკიდებული. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ალბანიაში გადახლართულია ავსტრიისა და იტალიის ინტერესები. როგორც ვიცით, ავსტრია, ნამეტნავად ბოსნია-ჰერცოგოვინას დასაკუთრების შემდეგ, ძლიერა ცდილობს „მშვიდობიანად დამკვიდრდეს“ მაკედონიაში. მეორეს მხრით, იტალიაც უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ალბანიას, მეტადრე მას შემდეგ, რაც იძულებული იყო ხელი აეღო აფრიკაში ადგილების დაპყრობაზე. როგორც საქმეში ჩახედული პოლიტიკოსები ჰფიქრობენ, იქნება მოკავშირე ავსტრია და იტალია როდისმე კიდეც გადაიკიდნენ ალბანიის გულისთვის („რ. ვ.“).

**მოლაპარაკება ნოვობაზარის სანჯაყის გაყიდვაზე.**

ხმა გავრცელდა, რომ ავსტრიას და ოსმალეთს შორის მოლაპარაკება გაიმართა ნოვობაზარის სანჯაყის გაყიდვაზეო. ამ ცნობამ მეტად აადელვა სერბიის ხალხი. სერბებს იმედი აქვთ, რომ ინგლისი არ მოითმენს, რომ ავსტრიამ იყიდოს სანჯაყიო. ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბარონ ერენტალმა მარჯვედ ისარგებლა ალბანიის აჯანყებით და თავის დიდის ხნის განზრახვის განხორციელება მოინდომა. ავსტრიელ დიპლომატებს იმედი აქვთ, რომ ოსმალეთი დასთანხმდება ნოვობაზარის სანჯაყის გაყიდვასაო.

**ხმა ადრიატიკის რკინის გზაზე.**

სერბიის პოლიტიკოსთა წრეებში ხმა გავრცელდა, რომ ოსმალეთის მთავრობა უარს ეუბნება სერბიას დუნაი-ადრიატიკის რკინის გზის აშენებაში. ამ ხმამ დიდი სენსაცია მოახდინა სერბიის სატახტო ქალ. ბელგრადში. ჰფიქრობენ, რომ ეს ბარონ ერენტალის უნარი უნდა იყოსო.

## წერილი რედ. მიმართ

ბ ტონო რედაქტორო! ნება მოგვეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც თავიანთის შემოწირულებით დახმარება გაუწიეს ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ტომსკში.

შემომწირველთა სია: ორ-ორი მანეთი: ანდრია შუბლაძე, დ. ურუშაძე, ნ. ჯანაშია, პ. ლორთქიფანიძე, რ. გამსახურდია 1 მ., გ. ლეჟავა და პ. ელიავა 1 მ., ნ. ჯინორიძე 2 მ., მ. კემულარია 50 კ., ვ. ჟ. 1 მ., ი. გვიჩია 50 კ., გ. ქავთარაძე 2 მ., ვ. ნუცუბიძე 50 კ.

თავმჯდომარე სათვისტომოსი **პ. საყვარელიძე,** მდივანი სათვისტომოსი **ი. ქიმერიძე.**


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—99)

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

უოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ, გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

## ქ. ტფილისში

**იყიდება** იაფად ვახრამოვის მამული ცეცხლის შემდეგ დარჩენილი ორ სართულიანი ქვიტკირის სახლი თავის ეზოთი, ზომით 1712 ოთხკუთხი საჟენი ან -ილაც სეზღვრებში აღმოჩნდება. ფასის შეტყობა შეიძლება თვით პატრონთან ტფილისში, ელისაბედის ქ. № 17, ბინა მე-10 გენერალიშა ნატალია იაგოროვნა ვახრამოვისას. (3—260—1)




(Метцль и К. N 43014) (10—6.—1)

„სორაპნის“ ამხანაგობის გამოცემა.

## ქართველი და უცხოელი მწერლები

წიგნი მეხუთე

✦◀ მიიღება ხელის მოწერა ▶✦

## გიუი-დე მოპასანის

თხზულებანი.

წიგნი გამოვა ჩვეულებრივი ზომისა და ფორმატისა, მოთავსებული იქნება ავტორის სურათი და ბიოგრაფიული ცნობები. [illegible] 20 შაური [illegible] 25 კაპეიკი. [illegible]

ხელის მოწერა დაიწყება 10 აპრილს და გათავდება 10 მაისს. [illegible] Адресъ: Тифлисъ, Т—во «Сорапанъ». (8—7)

## შემთხვევით იყიდება

ძრიელ იაფად ორ სართულიანი სახლი. შეიცავს 13 ოთახისა და 6 სამზარეულოსაგან. მიწა ზომით 60 ოთხკუთხი საჟენი. ადრესი: [illegible] ქუჩა, № 17. [illegible]

## ამხანაგობა „უჩანს“ ბაღი და რესტორანი

[illegible] 25 აპრილს, 1910 წ. გაიხსნება საზაფხულო ბაღი [illegible]

სადილი და ვახშამი

სადილი 1 საათ. ნაშუადღევიდან 5 საათამდის.

2 თეფ. სუპით 50 კაპ., 3 თეფ. 75 კაპ., 4 თეფ. 1 მან.

[illegible] (10—ხაკ.—2)

✦ სრული პასუხის მგებლობა ✦

## „ფესასაცმლების სახელოსნო“

[illegible]

✦ სრული პასუხის მგებლობა ✦ (25—5.—25)

## ელექტრონის გილზის ფაბრიკა

## „როზა“

ტფილისი, უჩენის შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.

საკვირველად მშვენიერი გილზები [illegible] (100—ტ.—6)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. [illegible]